



ყაზანისა და თათარსტანის მიტროპოლიტი კირილე საუდის არაბეთში მოხსენებით გამოვიდა



2021 წლის 24 ნოემბერს ყაზანისა და თათარსტანის მიტროპოლიტმა კირილემ მონაწილეობა მიიღო სესიაში „რუსეთი და ისლამური სამყარო: დიალოგისა და ურთიერთობის კულტურა სხვადასხვა რელიგიის მიმდევრებს შორის. რუსეთისა და საუდის არაბეთის გამოცდილება“, რომელიც ჯიდაში (საუდის არაბეთი) სტრატეგიული ხედვის ფგუფის „რუსეთი – ისლამური სამყარო“-ს გასვლითი სხდომის ფარგლებში ჩატარდა.

თათარსტანის სამიტროპოლიტოს მეთაური, რომელიც მოსკოვის საპატრიარქოს პირველი მთავარიერარქი გახდა, ვინც საუდის არაბეთს ეწვია, სესიაზე მოხსენებით გამოვიდა

„პირველ რიგში, მინდა გულწრფელი მადლობა გადავუხადო მის სამეფო უდიდებულესობას მეფე სალმან ბინ აბდელ აზიზ ალ-საუდს ქემმარიტად აბრაამული სტუმართმოყვარეობისთვის, თბილი მიღებისთვის. ფორუმის ყველა მონაწილეს დიდი სიხარულით გადმოგცემთ მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესი პატრიარქის კირილეს მისასალმებელ სიტყვას“, – განაცხადა მართლმადიდებელმა მწყემსთმთავარმა.

თავის გამოსვლაში ის შეეხო რუსეთში, კერძოდ, თათარსტანის რესპუბლიკაში რელიგიათაშორისი თანხმობის შენარჩუნების გამოცდილებას და აღნიშნა: „მშვიდობა და თანხმობა მართლმადიდებელ ქრისტიანებსა და მუსლიმებს შორის ჩვენთან მრავალი საუკუნის განმავლობაში არსებობს. თითქმის ხუთი საუკუნის განმავლობაში ჩვენ გვერდიგვერდ ვცხოვრობთ თათარსტანში და არასოდეს გვქონია რელიგიათაშორისი ომები. თუმცა, ჩემი აზრით, იყო ერთი რელიგიური ომი, მაგრამ ის ზოგადად რწმენის წინააღმდეგ იყო მიმართული – არა ქრისტიანების ან მუსლიმების წინააღმდეგ, არამედ მორწმუნეების წინააღმდეგ. მეზრდოლმა უღმერთოებმა, როცა ხელისუფლებაში მოვიდნენ, ყველა ეროვნული და რელიგიური ტრადიცია გაანადგურეს. მადლობა ღმერთს, რომ დღეს ჩვენს ფესვებს ვუბრუნდებით და შესაძლებლობა გვაქვს დაუბრკოლებლად აღვასრულოთ ღვთისმსახურება, ვიაროთ ტაძრებსა და მეჩეთებში, ვიაღმსარებლოთ ჩვენი რელიგია“.

მეუფე კირილემ აღნიშნა, რომ თათარსტანში, ხელისუფლების თანამოქმედებით, აქტიურად მიმდინარეობს სალოცავების აღდგენა – „ალორძინდა უძველესი ბულგარეთი, სადაც მიიღეს ისლამი, უძველესი სვიაჟსკი, საიდანაც ქრისტიანობა ჩვენს ქვეყანაში მოვიდა“.

„წელს ყაზანში ქრისტიანული სინდინდე აღდგა, რომელთანაც მრავალი საუკუნის განმავლობაში მომლოცველება აღესრულებოდა – ღვთისმშობლის ყაზანის ხატის საკათედრო ტაძარი, – განაგრძო თათარსტანის სამიტროპოლიტოს მეთაურმა. – ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატის გამოჩენის ადგილზე ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახლის აღდგენაში ფონდი „Возрождение“ მონაწილეობდა. ამ ფონდს თათარსტანის რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი, მუსლიმი მინტიმერ შარიპოვის ძე შაიმიევი ხელმძღვანელობს.

ყაზანისა და თათარსტანის მიტროპოლიტი კირილე ასევე თათარსტანის რესპუბლიკის მუსლიმთა სულიერი ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან, თათარსტანის მუფთთან კამილ სამიგულინთან თანამშრომლობის თემაზე შეჩერდა. „ჩვენ ვთანამშრომლობთ ისეთ საკითხებში, რომლებშიც შეგვიძლია ამის გაკეთება: ერთად ვართ დაკავებულნი მშვიდობის დამყარებით, ვწყვეტთ საერთო სოციალურ პრობლემებს, ვცდილობთ დავამკვიდროთ სულიერი და ზნეობრივი ფასეულობები ჩვენს ხალხში, რათა არ იყოს აბორტები, რათა არ იყოს დანაშაული, არ მიეცნენ ადამიანები ნარკომანიასა და ლოთობას, არამედ ღვთის მოსაწონად იცხოვრონ“, – განაცხადა მან.

წმინდა წერილის სიტყვების ციტირებით: „**უკუეთუ მეუფებაჲ მეუფებასა განევლთას, ვერ ჴელ-ენიფების დამტკიცებად მეუფებაჲ იგი. და უკუეთუ სახლი სახლსა განევლთას, ვერ ჴელ-ენიფების სახლი იგი დამტკიცებად**“ (მარკოზი 3:24-25), მიტროპოლიტმა კირილემ ხაზგასმით აღნიშნა: „ჩვენი საერთო კეთილდღეობა პირდაპირ დამოკიდებულია შინაგან თანხმობასა და რელიგიათაშორის სიმშვიდეზე. ამ კონტექსტში ჩვენი სამყარო საერთო სახლს წარმოადგენს, რაც მის ერთობლივ

კეთილმოწყობას გულისხმობს. ჩვენ შეგვიძლია ვიცხოვროთ ამ სახლის სხვადასხვა ოთახში, სხვადასხვა სართულზე, მაგრამ არც ერთი საღად მოაზროვნე ადამიანი შეგნებულად არ აანთებს ცეცხლს საკუთარ სახლში. ჩვენ წინაშე დგას ამოცანა შევინარჩუნოთ ჩვენი ეროვნული და რელიგიური ტრადიციები და შევინააღმდეგოთ იმ ბოროტებას, რომელიც თავის თავში ურწმუნობასა და განსაკუთრებით აგრესიულ უღმერთობას ატარებს, უარყოფელია ყველა პრინციპისა და კანონის, რომლებიც ჩვენი სარწმუნოებების ჭეშმარიტებებზეა დაფუძნებული“.

რუსეთიდან სესიის მონაწილეებს შორის იყვნენ მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქთან არსებული ისლამურ სამყაროსთან ურთიერთობის ექსპერტთა საბჭოს თავმჯდომარე მღვდელმონაზონი გრიგოლი (მატრუსოვი), თათარსტანის რესპუბლიკის მუსულმანური სულიერი სამმართველოს თავმჯდომარე კამილ სამიგულინი, რუსეთის ფედერაციის მუსულმანური სულიერი სამმართველოს თავმჯდომარის მოადგილე რუშან აბიასოვი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სამეცნიერო ხელმძღვანელი ვიტალი ნაუმკინი, ისლამური კულტურის, მეცნიერებისა და განათლების ფონდის საბჭოს თავმჯდომარე ევგენი ერემინი, ბულგარეთის ისლამური აკადემიის რექტორი აინურ ტემირხანოვი და სხვები.

სტრატეგიული ხედვის ჯგუფის „რუსეთი – ისლამური სამყარო“-ს გასვლითი შეხვედრა თათარსტანის რესპუბლიკის პრეზიდენტის რუსტამ მინიხანოვის ხელმძღვანელობით ჩატარდა. ყაზანისა და თათარსტანის მიტროპოლიტი კირილე, ჯგუფში როგორც მოსკოვის საპატრიარქოს წარმომადგენელი, უწმინდესმა პატრიარქმა კირილემ დანიშნა კათედრაზე მისი წინამორბედის, ყაზანისა და თათარსტანის მიტროპოლიტის თეოფანეს შემცვლელად, რომელიც 2020 წლის 20 ნოემბერს უფლის წინაშე წარსდგა.

სტრატეგიული ხედვის ჯგუფი 2006 წელს რუსეთის ფედერაციის ყოფილი პრემიერ-მინისტრის ევგენი პრიმაკოვისა და თათარსტანის რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტის მინტიმერ შაიმიევის ხელმძღვანელობით შეიქმნა. ის წარმოადგენს საკონსულტაციო ორგანოს რუსეთსა და ისლამურ ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გაფართოებისთვის. რუსეთის ფედერაცია თითქმის ოცი წელია ისლამური თანამშრომლობის ორგანიზაციაში დამკვირვებელს წარმოადგენს.

ვებ-გვერდის ინფორმაციის მიხედვით